თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 26, სტუდენტები – 8, სულ – 34 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებში: ,,ეკონომიკა", ,,ბიზნესის ადმინისტრირება", ,,ტურიზმი" ცვლილებების შესახებ (დანართი #1) (დანართი #2) (დანართი #3);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა კითხვარის ახალი ფორმის დამტკიცების შესახებ (დანართი #4);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

3. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ახალი წესის პროექტის განხილვა;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

4. სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცესის დაგეგმვის შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის როინ კვაჭაძის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ე. ლეკაშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგების განხილვა;

/სრ. პროფ. ნ. თოდუა/

8. II საერთაშორისო კონფერენცია ,,ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" (2013 წლის 11-12 ოქტომბერი) - კონფერენციის ბიუჯეტის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

9. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის ,,იდეა“ (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი) ფუნქციონირების განახლების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

10. „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ ხელმძღვანელის ეკონ.დოქ. იოსებ მასურაშვილის განცხადება ცენტრისთვის ფინანსური თანადგომის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

11. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის #2 საბჭოს სხდომას ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა თავმჯდომარე, ბატონი ა. ხელაძე. საბჭოს მდივანმა, მ. ნაცვალაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ამონარიდი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებიდან (თავი 4; მუხლი 10; 4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. მისი არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან). საბჭოს მდივანმა წევრებს სთხოვა დაესახელებინათ დროებითი თავმჯდომარის კანდიდატურა. დასახელდა სრ. პროფ. მ. ტუხაშვილი. საბჭოს წევრებმა ერთხმად აირჩიეს საბჭოს დროებითი თავმჯდომარე - სრ. პროფ. მ. ტუხაშვილი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: *დამტკიცდეს დრის წესრიგი.*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებში: ,,ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ,,ტურიზმი“ ცვლილებების შესახებ (დანართი #1) (დანართი #2) (დანართი #3);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გადმოტანილია წინა სხდომიდან, რადგანაც იყო აზრთა სხვადასხვაობა მენეჯმენტის მოდულში საგნების შესახებ. საკითხი იქნა განხილული კათედრის

სხდომაზე და შეჯერებული იქნა მოდუილის ხელმძღვანელთან, ბატონ დ. ნარმანიასთან. შემოსულია ოქმის ამონაწერი, სადაც მიღებულია დასკვნა. აზრთა სხვადასხვაობა შეჯერდა და ამჯერად კათედრის მიერ გამოტანილი თვალსაზრისი შესაძლოა აისახოს პროგრამებში და შესაძლებელია მოხდეს ცვლილებების დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ. გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები.

საბჭოს ერთჯერადმა თავმჯდომარემ, პროფ. მ. ტუხაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა სათითაოდ ეყარათ კენჭი თითოეული პროგრამის ცვლილებების საკითხისთვის. პირველად კენჭი ეყარა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხს. კენჭისყრაზე დადგა ორი წინადადება:

1. მივიღოთ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებები;

2. გადავდოთ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების საკითხის განხილვა.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში წარმოდგენილი სახით ცვლილებების დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

სხდომის თავმჯდომარემ, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: ტურიზმის პროგრამაში წარმოდგენილი სახით ცვლილებების დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 1.

სხდომის თავმჯდომარემ, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილებები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებში ,,ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ,,ტურიზმი“;
2. აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებში ,,ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ,,ტურიზმი“ განხორციელებული ცვლილებები აისახოს შესაბამისი პროგრამების 2009–2013 და 2010–2014 სასწავლო წლების კურიკულუმებზე;
3. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილებების დამტკიცება.

მოისმინეს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა კითხვარის ახალი ფორმის დამტკიცების შესახებ (დანართი #4);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ხელახლა საბჭოს წევრებს დაეგზავნა ელექტრონული ფოსტით, სადაც ასახული იყო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე უკვე დამტკიცებული მონაცემების, წინაპირობების, კომპეტენციის ზღვრის განხილული და დამტკიცებული მაჩვენებლები. ე. ლეკაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დამატებითი ინფორმაცია იმ ცვლილებებზე, რაც უკავშირდება გრანტის განაწილების წესს:

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სრულად დაფინანსება;

2. 2013 წლიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიმალური ოდებობა - 30% აღარ გაიცემა. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალურ 100% ოდენობასთან ერთად დარჩება სახელმწიფო სასწავლო გრანტის შემდგომი ნაწილობრივი ოდენობები: 70%, 50%.

3. სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობები გადანაწილდება ყველა საგანმანათლებლო მიმართულებაზე, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირებაზე.

4. სახელმწიფოს მიერ განსხვავებული მინიმალური ზღვრები არ დადგინდება.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. მიღებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა–კითხვარის ახალი ფორმით განსაზღვრული მაჩვენებლები.

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული კითხვარის მაჩვენებლების დამტკიცება.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ახალი წესის პროექტის განხილვა;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ახალი წესის პროექტი საბჭოს წევრებს გასაცნობად 2 კვირით ადრე დაეგზავნათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ იყო ბევრი გამოხმაურება. აღსანიშნავია სრ. პროფ. ი. მესხიას და სრ. პროფ. გ. ღაღანიძის გამოხმაურებები.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა.

კენჭისყრაზე დადგა წინადადება: სადისერტაციო ნაშრომის შეფასების არსებული წესი დარჩეს უცვლელი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: სადისერტაციო ნაშრომის შეფასების არსებული წესი დარჩეს უცვლელი.

მოისმინეს: სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცესის დაგეგმვის შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცესის დაგეგმვა მნიშვნელოვანია, რადგან ცვლილებების განხორციელება უნდა მოხდეს შეზღუდულ ვადებში. ვინაიდან მაისის თვეში მოხდება თვითშეფასების კითხვარების შევსება, შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ დასრულებული, დამტკიცებული და ზუსტი ინფორმაცია ამ კითხვარებში ასახვისთვის. აქედან გამომდინარე ე. ლეკაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა შემდეგი ვადები:

1. კათედრებდან პროგრამის ხელმძღვანელებთან ოქმის ამონაწერების, სილაბუსების ელექტრონული ვერსიების წარდგენა - 18 თებერვალი;

2. სრული პროფესორების თვალსაზრისების შეჯერება - 20 თებერვალი;

3. შეჯერებული თვალსაზრისების წარმოდგენა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 25 თებერვალი;

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძემ. ვადები გახანგრძლივდა 3 დღით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 1.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცესის უკეთ დაგეგმვის უზრუნველყოფის მიზნით 2013 წლის 7 თებერვალის #2 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ცვლილებების განხორციელების შემდეგი ვადები:

1. კათედრებდან პროგრამის ხელმძღვანელებთან ოქმის ამონაწერების, სილაბუსების ელექტრონული ვერსიების წარდგენა - 21 თებერვალი;

2. სრული პროფესორების თვალსაზრისების შეჯერება - 23 თებერვალი;

3. შეჯერებული თვალსაზრისების წარმოდგენა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 28 თებერვალი;

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის როინ კვაჭაძის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ დანართის სახით წარმოდგენილია სრულყოფილი ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის როინ კვაჭაძის შესახებ და ითხოვენ კვალიფიკაციის მინიჭებას.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ი ჭილაძემ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როინ კვაჭაძეს მიენიჭოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შესახებ;

/ფაკულტეტის საბჭოს მდივანი მ. ნაცვალაძე/

მ. ნაცვალაძემ აღნიშნა, რომ თსუ საგამოცდო ცენტრის უფროსის მ. ჩიღვინაძის 2 განცხადება.

1. 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრში ძირითადი გამოცდის მსვლეობისას ადგილი ჰქონდა დარვევას - 21 იანვარს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი სანდრო ყიფიანი საგნის ,,მათემატიკა ეკონომისტებისთვის 1" გამოცდაზე შემოსული იყო სხვა სტუდენტის გიორგი სუპატაშვილის ნაცვლად.

2. 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრში ძირითადი გამოცდის მსვლეობისას ადგილი ჰქონდა დარვევას - 28 იანვარს საგამოცდო ცენტრში ტარდებოდა გამოცდა ინგლისურ ენაში–1. გამოცდას აბარებდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მალხაზ მანდარია. პირადობის მოწმობების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მის ნაცვლად გამოცდაზე შემოსული გახლდათ სხვა პოროვნება. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ივანე ყუფარაძე გახლდათ. სტუდენტი მოიხსნა გამოცდიდან და გაუქმდა ნაშრომი.

გთხოვთ განიხილოთ ეს ფაქტები და მიიღოთ მკაცრი ზომები, რათა ბოლო ხანებში გახშირდა ასეთი ფაქტები.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძემ, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძემ.

გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. სხდომის ერთჯერადმა თავმჯდომარემ, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხის გადადების საკითხი შემდგომი საბჭოს სხდომისთვის.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების საკითხი გადაიდოს შემდგომი საბჭოს სხდომისთვის.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგების განხილვა;

/სრ. პროფ. ნ. თოდუა/

სრ. პროფ. ნ. თოდუამ აღნიშნა, რომ კველვის შესახებ პრეზენტაცია გადაგზავნილი იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრების ელექტრონულ ფოსტაზე, მას ყველა გაეცნო და ამჯერად არ მიაჩნია მიზანშეწონილად კვლავ ამ საკითხის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: II საერთაშორისო კონფერენცია ,,ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" (2013 წლის 11-12 ოქტომბერი) - კონფერენციის ბიუჯეტის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

გამომსვლელმა, ქალბატონმა მ. ლოჟანიძემ აღნიშნა, რომ კონფერენციის ჩატარების პროცედურა უკვე განხილული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭზე (2012 წლის 30 ნოემბერი) კონფერენციის ჩატარების ყველა კომპონენტის მიხედვით. ამჯერად განიხილება კონფერენციის ბიუჯეტის შესახებ საკითხი. ჩავთვალეთ, რომ ბიუჯეტი უნდა განეხილა საბიუჯეტო კომისიას და შემდგომ უნდა დამტკიცებულიყო ფაკულტეტის საბჭზე. დეკანთან შეთანხმების საფუძველზე კი გადაწყდა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი უნდა განიხილოს არა საბიუჯეტო კომისიამ, არამედ ფაკულტეტის საბჭომ. ეს ინფორმაცია დაგზავნილი იყო საბჭოს წევრების ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული კონფერენციის ბიუჯეტი განსაზღვრულია 14 600 ლარით. კონფერენციის ხანგრძლოვობა არის 2 დღე, მეორე დღეს კონფერენცია გაგრძელდება ქუთაისში (ექსკურსია სასათბურე მეურნეობაში, ბიომეურნეობაში ,,ჰერმა"). მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ საბიუჯეტო კომისიის ინფორმაციით, ფაკულტეტზე კონფერენციების ჩატარებისთვის სულ გამოყოფილია 30 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: II საერთაშორისო კონფერენციის ,,ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" (2013 წლის 11-12 ოქტომბერი) ბიუჯეტის პროექტი განისაზღვროს 14 600 ლარით და დამტკიცდეს.

მოისმინეს: სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის ,,იდეა" (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი) ფუნქციონირების განახლების შესახებ;

/ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი/

ასოც. პროფ. გ. შიხაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხის შესახებ ინფორმაცია დაგზავნილი იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრების კორპორატიულ იმეილებზე. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მისი ინიციატივით 2001 წელს შეიქმნა და 2010 წლის ივნისამდე მოქმედებდა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა." თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცენტრის ოფიციალური რეგისტრაცია მოხდა 2007 წლის 24

დეკემბერს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო მისი დებულება დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2009 წლის 10 ივლისს.
განვლილ პერიოდში, სასწავლო ჯგუფებში პრეზენტაციის შემდეგ, საუკეთესო პროექტები სისტემატურად გაიტანებოდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო პრეზენტაციებზე, საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებზე, ჯილდოვდებოდა პრიზებით, გადაეცემოდა საპუბლიკაციოდ და საპროექტო წინადადებების სახით განსახილველად წარედგინებოდა სათანადო ორგანიზაციებსა და ბიზნესმენებს. ცენტრის საქმიანობა დროებით შეჩერდა 2010-2012 წლებში უნივერსიტეტში გ. შიხაშვილის არყოფნის პერიოდში.
ასოც. პროფ. გ შიხაშვილმა აღნიშნა, რომ 2012 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან მის მიერ განახლდა სწავლებისა და შეფასების პროცესში პროექტების მეთოდის გამოყენება.

ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, სტუდენტებისა და ცენტრის ყოფილი თანამშრომელი ლექტორების თხოვნის გათვალისწინების საფუძველზე, მას საჭროდ მიაჩნია განახლდეს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა"-ს საქმიანობა (ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სახელფასო ანაზღაურების გარეშე).

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. მ. ტუხაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: განახლდეს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის ,,იდეა" (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი) ფუნქციონირება.

მოისმინეს: „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის" ხელმძღვანელის ეკონ. დოქ. იოსებ მასურაშვილის განცხადება ცენტრისთვის ფინანსური თანადგომის შესახებ;

/ფაკულტეტის საბჭოს ერთჯერადი თავმჯდომარე მ. ტუხაშვილი/

ფაკულტეტის საბჭოს ერთჯერადმა თავმჯდომარემ მ. ტუხაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის" ხელმძღვანელი ეკონ. დოქ. იოსებ მასურაშვილი საბჭოს წევრებს სთხოვს ცენტრისთვის ფინანსური თანადგომას.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის" ხელმძღვანელს ეკონ. დოქ. იოსებ მასურაშვილის უარი ეთქვას ცენტრის ფინანსური თანადგომის შესახებ.

მოისმინეს: ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის განცხადება ფაკულტეტის არაწევრი აკადემიური პერსონალისთვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგისა და შესაბამისი მასალების წინასწარი გაცნობის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის სწავლული მდივანმა, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძემ საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის არაწევრ აკადემიური პერსონალს დაეგზავნოს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და შესაბამისი მასალები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე